ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №6056213

ნომერი: AR1909781

თარიღი : 30.06.2022

გაცემის თარიღი : 27.07.2022

გაცნობის თარიღი : 28.07.2022

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ოსიპ მანდელშტამის ქუჩა, N 2გ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ია ბარქაია პ/ნ 62001001828
- გურამიშვილის 28 ბ71/72

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2022 წლის 30 ივნისის №AR1909781 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის 2022 წლის 17 იანვრის №5763596 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2022 წლის 07 ივლისის №6025031 ბრძანებით და 2022

წლის 11 ივლისის №6029908 გადაწყვეტილებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად. კერძოდ დაგევალათ, სამსახურის 2022 წლის 17 იანვრის №5763596 ბრძანებით შეთანხმებული -3.00 ნიშნულის გეგმის იდენტური ამავე ნიშნულის გეგმის (გეგმარების ცვლილების გარეშე) წარმოდგენა, მხოლოდ „4-3“ მონაკვეთში, „დ“ ღერძის გასწვრივ  რიგელის დატანით.

განმეორებით წარმოდგენილ განცხადებაში კვლავ გამოვლინდა ხარვეზები. კერძოდ: წარმოდგენილი -3.00 ნიშნულის გეგმა კვლავ არ არის გასწორებული სამსახურის 2022 წლის 07 ივლისის №6025031 ბრძანების და 2022 წლის 11 ივლისის №6029908 გადაწყვეტილების შესაბამისად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, არ იქნა წარმოდგენილი სამსახურის მიერ განსაზღვრული შესწორებული დოკუმენტაცია და სამსახურის მიერ რამდენჯერმე მოხდა ხარვეზების დადგენა, რომელიც განმცხადებლის მიერ არ იქნა გამოსწორებული, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება 2022 წლის 30 ივნისის №AR1909781 განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

დამატებით გაცნობებთ, რომ ახალი განცხადების რეგისტრაციის და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.